



საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის
XI საერთაშორისო კონფერენცია

პირველი შეტყობინება

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის XI საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება 2020 წლის 24 - 28 აგვისტოს ქ. ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონფერენციის სექციები და თავმჯდომარეები:

- ალგებრა, ტოპოლოგია, გეომეტრია და რიცხვთა თეორია (მალხაზ ბაკურაძე, ვლადიმერ ბალაძე, გიორგი ხიმშიაშვილი, ემზარ ხმალაძე)
- მათემატიკური ლოგიკა და დისკრეტული მათემატიკა (ალექსი კირთაძე, როლანდ ომანაძე, ხიმური რუხაია, ალექსანდრე ხარაზიშვილი)
- დიფერენციალური განტოლებები და გამოყენებები (როლანდ დუდუჩავა, ნუგზარ შავლაყაძე, ოთარ ჭკადუა)
- მათემატიკური განათლება და ისტორია (გურამ გოგიშვილი, თეიმურაზ ვეფხვაძე)
- მათემატიკური მოდელირება და რიცხვითი ანალიზი (ჰამლეტ მელაძე, თემურ ჩილაჩავა, თემურ ჯანგველაძე)
- მათემატიკური ფიზიკა (ალექსანდრე კვინიხიძე)
- ალბათობის თეორია და სტატისტიკა, ფინანსური მათემატიკა (ვახტანგ კვარაცხელია, ვაჟა ტარიელაძე, ომარ ფურთუხია)
- ნამდვილი და კომპლექსური ანალიზი (ვახტანგ კოკილაშვილი, გიორგი ონიანი, შაქრო ტეტუნაშვილი).

თემატური მინისიმპოზიუმები: მონაწილეებმა, რომელთაც სურთ თემატური მინისიმპოზიუმების ორგანიზება, უნდა გამოაგზავნონ განაცხადი ელექტრონული ფოსტით 2020 წლის 31 მაისამდე შემდეგ მისამართზე: conferences.gmu@gmail.com . მინისიმპოზიუმის ორგანიზებისათვის აუცილებელია არანაკლებ 5 მომხსენებლის მონაწილეობა.

კონფერენციის სარეგისტრაციო შესატანი	საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრები	საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არ არიან საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრები
სრული მონაწილეობა	100 ლარი	120 ლარი

კონფერენციის ყველა მონაწილე, ორგანიზატორებისა და პლენარული მომხსენებლების ჩათვლით, იხდის კონფერენციის სარეგისტრაციო გადასახადს. თუ საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრს გადახდილი აქვს მიმდინარე წლის საწევრო გადასახადი, მაშინ ის იხდის კონფერენციის სარეგისტრაციო თანხას 80 ლარის ოდენობით.

კონფერენციის სარეგისტრაციო გადასახადი სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისათვის არის 50 ლარი. თუ სტუდენტს გადახდილი აქვს მიმდინარე წლის საწევრო გადასახადი, მაშინ ის იხდის კონფერენციის სარეგისტრაციო თანხას 40 ლარის ოდენობით.

სარეგისტრაციო გადასახადი მოიცავს	ყველა სექციაზე დასწრება
	თეზისების კრებული
	პროგრამის ბუკლეტი
	სადამოს წვეულებაში მონაწილეობა (23 აგვისტო, 19:00-21:00)
	„ყავის“ შესვენებებში მონაწილეობა
	კონფერენციაში მონაწილეობის სერტიფიკატი

შენიშვნა: ერთზე მეტი თეზისის გამოქვეყნების შემთხვევაში რეგისტრირებულმა მონაწილემ უნდა გადაიხადოს 20 ლარი ყოველ დამატებით თეზისზე.

თეზისის წარდგენა და რეგისტრაცია: ეწვიეთ კონფერენციის ვებ-გვერდს <http://gmu.gtu.ge/Batumi2020/indexe.html> და გაიარეთ რეგისტრაციის საწყისი ეტაპი (რაც მოითხოვს თეზისის LaTeX და Pdf ვერსიების ატვირთვასაც) 2020 წლის 15 ივლისამდე. რეგისტრაცია ჩაითვლება დასრულებულად და კონფერენციის მონაწილის თეზისი დაიბეჭდება კრებულში სამეცნიერო კომიტეტის მიერ მოხსენების პროგრამაში ჩართვის დადასტურებისა და სარეგისტრაციო თანხის გადახდის შემდეგ. გთხოვთ, სარეგისტრაციო თანხის გადახდა (ჩარიცხვა) შეგვატყობინოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე zaza-ude@hotmail.com. აუცილებელია შეტყობინებას მიბმული ფაილის სახით თან დაერთოს სარეგისტრაციო შენატანის გადახდის ქვითრის ასლი, სადაც გადარიცხვის დანიშნულებაში მითითებული იქნება: "სახელი, გვარი, სმკ XI კონფერენციის სარეგისტრაციო შენატანი".

15 ივლისის შემდეგ წარმოდგენილი თეზისი არ მიიღება დასაბეჭდად.

თეზისი უნდა მომზადდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ვარიანტი წარმოდგენილი უნდა იყოს LaTeX ფორმატში შაბლონის მიხედვით. თითოეულის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. თეზისი, რომელიც გამოიგზავნება Word-ის ფაილით, არ მიიღება დასაბეჭდად. დაბეჯითებით გთხოვთ, დაიცვათ შაბლონის ფაილში მითითებული წესები. შაბლონების ჩამოტვირთვას შეძლებთ კონფერენციის ვებ-გვერდიდან.

ინფორმაცია სასტუმროების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართებზე:

<http://www.booking.com/> და <https://www.airbnb.com/>.

მნიშვნელოვანი თარიღები:

31 მაისი, 2020 - მინისიმპოზიუმების ორგანიზებაზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადა

15 ივლისი, 2020 - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა

20 ივლისი, 2020 - მოხსენებების მიღების დადასტურება

31 ივლისი, 2020 - საკონფერენციო გადასახადის გადახდის ბოლო ვადა იმ მონაწილეებისათვის, რომლებსაც სურთ თეზისების დაბეჭდვა თეზისების კრებულში (რეგისტრაცია შეგიძლიათ დაასრულოთ მოგვიანებითაც, მაგრამ თეზისი ვეღარ დაიბეჭდება კრებულში. თუმცა, დაგვიანებული რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება თეზისის ჩართვა კონფერენციის ვებგვერდზე განთავსებულ თეზისების კრებულის ელექტრონულ ვერსიაში).

დამატებითი ინფორმაცია მოცემული იქნება მეორე შეტყობინებაში.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი,
კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე,
პროფესორი **დავით ნატროშვილი**

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე,
პროფესორი **ალექსანდრე მესხი**